საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 სექტემბერი 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №04-01/08

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში
2016-2017 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შემოქმედებითი ტურების
შედეგებით პროგრამული დაფინანსების
მინიჭების საკითხის განხილვის შესახებ**

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წესდების 55-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის/ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის №05-01/02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის მიმღები კომისიის 2016 წლის 27 ივნისის სხდომის №3 ოქმისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 30 აგვისტოს №179116 ბრძანების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2016-2017 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შემოქმედებითი ტურებზე მიღებული მაღალი შეფასების გათვალისწინებით მიენიჭოთ პროგრამული დაფინანსება:

საბაკალავრო პროგრამებზე

- თავბერიძე მიხეილ - არქიტექტურა და დიზაინი (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა) - 95 ქულა
- რომანაძე დავით - არქიტექტურა და დიზაინი (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა) - 95 ქულა
- სალაძე კობა - არქიტექტურა და დიზაინი (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა) - 94 ქულა
- ცინცაძე ხატია - დიზაინი (სამოსის დიზაინი) - 84 ქულა
- კავთელაძე სიმონ - აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა) - 91 ქულა
- ზარიძე მარია - სამუსიკო შემსრულებლობა (აკადემიური სიმღერა) - 1052 ქულა

- თურმანიძე გიორგი - სამუსიკო შემსრულებლობა (საორკესტრო)
- ხოშტარია მარგარიტა - სამუსიკო შემსრულებლობა (საორკესტრო)

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ერმილე მესხია**